წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 3 აპრილი 1916 წ. № 75

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ-არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე-პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ტექსტის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

სახალხო სახლი. კვირას, 3 აპრილს, გაიმართება პირველად თბილისში

დიდი საჯარო რელიგიური სიტყვა-მუსიკობა

კ. ფოცხვერაშვილისა

სიტყვის თემა: „რელიგია ქართველი ერისა და მისი ჰიმნ-საგალობელნი“. სამუსიკო განყოფილებაში საუკეთესო მომღერალ-დამკვრელთაგან შესრულებული იქნება მრავალი ქართული სიმღერა ჰიმნ-საგალობელნი.
სალიტერატურო ნიმუშთა შორის ქართული ხმების გარდა შესრულდება ევროპიულ კომპოზიტორთა სახელგანთქმული ნაწარმოებნიც.

გადმოცემული იქნება და გარჩეული აგრეთვე ახალი კოსმოგონიური სამუსიკო დრამა-ლეგენდა კ. ფოცხვერაშვილისა **„მსოფლიო ვაება“.** დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები 2 მანეთიდან 20 კაპეიკამდე. იყიდება სახალხო სახლის კასაში (1-80-1)

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი წლიურად დირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მღვდელი იასონ სოლომონის ძე ოქროპირიძე და მიხეილ იასონის ძე ოქროპირიძე შვილებით, თამარა იასონის ასული მარუაშვილისა და მინა მალაქიას ძე მარუაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 1 აპრილს, 1 საათზედ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველის და მესამის რძალი და მეორეს მეუღლე

თამარა თევდორეს ასული

ოქროპირიძისა

დაკრძალვა იქნება სოფელ ქარელში ორშაბათს, ოთხ აპრილს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ.

(1—147—1)

დავით ზაქარიას ძე გოგიჩაშვილი, დედა და მამა ზაქარია დავითის ძე და პელაგია ივანეს ასული გოგიჩაშვილები ვაუწყებთ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა ძვირფასი ბიძაშვილი

თამარა თევდორეს ასული

ოქროპირიძე

დაკრძალვა სოფელ ქარელში ორშაბათს, ოთხ აპრილს, პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ.

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—16)

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

გიორგი ილიას ძის ჩუბინაშვილის

მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.

(თ—81—1)

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი

სთხოვს თავად-აზნაურთ მობრძანდნენ თავად-აზნაურობის

არაჩვეულებრივ საგუბერნიო კრებაზე

ამ წლის **5 აპრილს, საღამოს 8 საათზე,** სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში.

განსახილველია: მოხსენება სათავად-აზნაურო საურთიერთო კასის დაარსების თაობაზე.

(2-75-2)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლ. ი. მელიქ-აზარიანცისა.

ტელეფონი, 17—21.

ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—15

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 1 აპრილი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** იქსკლიუკის ხიდის მიდამოებში ზარბაზნების სროლაა. საღამოთი 30 მარტს, გერმანელებმა იერიში მოიტანეს სვენტენისა და ილზენის ტბის შუა მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ზარბაზნების სროლის შემდეგ მათ ხელახლა იერიში მოიტანეს, მაგრამ რუსებმა ისევ უკუაგდეს გერმანელთ. დახოცილები და დაჭრილები დასტოვეს ადგილობრივ. მაძიოლის ტბის რაიონში და მის ჩრდილოეთით აგრეთვე ნაროჩის ტბის მიდამოებში და დაბა სმორგონის ჩრდილოეთით მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. დაბა სოსლავინოს მახლობლად რუსებმა ჩამოაგდეს გერმანელთა ჰაეროპლანი. გალიციაში ტრიულბუროველეს მიდამოებში ბუჩაჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გერმანელთა იერიში მოგერიებულ იქმნა. მდ. სტრიპის რაიონში რუსებმა აიღეს პოპოვა მაგილას მაღლობი და რამდენიმე თხრილი. მტერმა ორჯელ კონტრ-იერიში მოიტანა მის დასაბრუნებლად, მაგრამ უკუგდებულ იქმნა დიდის ზარალით. რუსებმა აქ ასამდე ტყვე წამოიყვანეს, ხუთი აფიცრიოურთ. ხოტინის მარცხენა ფრთაზე გერმანელთა ჰაეროპლანმა გამოითარეშა, მაგრამ წინ რუსთა ჰაეროპლანები შეხვდნენ და უკუაქციეს. ამავე დროს მტრის მეორე ჰაეროპლანმა მოახერხა გამოფრენა, უვანცამდის მოვიდა და ხუთი ყუმბარა ჩამოაგდო. ყუმბარის ნატეხით დაიჭრა ჯარის კაცი ანატოლ პოსტნევი. ხელმწიფე იმპერატორმა, რომელიც უვანციდან 6 ვერსის მანძილზე იყო, დაჭრილი დააჯილდოვა მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვრით.

კავკასიის ასპარეზი. აზრუმის მერიდიანის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. კავკასიის ჯაროა ცენტრში მათმა ექვსი დღის იერიშებმა ამაოდ ჩაიარა. რუსები ენერგიულად სდევნიან ოსმალთ.

პარიზი, 31 მარტი. ოფიციალი საღამოს ცნობა. მდ. უაზის და ენის შუა მტერმა ჩვენ საველე სიმაგრეებს მილენოტივანთან და ნამპსელთან ზარბაზნები დაუშინა. მდ. მაასიდან დასავლეთით „304“ სიმაღლეს და მორტომ-კიუმერის ციხეს ზარბაზნები დაუშინეს. მაასის აღმოსავლეთით და ვევრთან ზარბაზნების სროლაა. დღისით ქვეითა ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. ჩვენ შორსმტყორცნელი ზარბაზანი დავუშინეთ სადგურ კოვეაკსიურ-მოზს და კორნის ხიდს პონტ-ამუსონის ჩრდილოეთით, სადაც ცეცხლი გავაჩინეთ. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

ჰავრი, 31 მარტი. ბელგეთის ცნობა. სხვა და სხვა ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა. დიკსმიუდესთან და რონინგრენინგთან ზარბაზნით ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო.

რომი, 31 მარტი. ოფიციალი ცნობა. ლედროს მიდამოებში 30 მარტს მტერმა მოულოდნელად მკაცრი იერიში მოიტანა და მონტესპერონთან თხრილები ჩაიგდო ხელში. საღამოთი ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიში მიიტანა, მტერი უკუაგდო და მონტესპერონთან წინ წაიწია. პლეცოს მიდამოებში ღამე 30 მარტს მტერმა დიდის ძალით იერიში მოიტანა რავნილაცესთან. იერიში მოვიგერიეთ და მტერი უკუვაგდეთ. მთელი ბრძოლის ხაზით საარტილერიო ბრძოლაა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გერმანიის კანცლერი და სოციალ-დემოკრატები

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანული გაზეთები რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვებს იგონებენ. ღირს შესანიშნავია სოც. დემ. შეიდემანის სიტყვა, სადაც სოც.-დემოკრატ. ახალი მიდრეკილება გამოიხატება. შეიდემანი კანცლერის სიტყვას ემხრობა და აღნიშნავს: ამ საშინელ მსოფლიო ცეცხლის შემდეგ სახელმწიფოთა საზღვრები იმ ფარგლებში აღარ უნდა დარჩეს, რა ხაზიაც ომამდე განისაზღვრებოდა. ნუ თუ წარმოსადგენია, განაცხადა შეიდემანმა სოც.-დემოკრატიის ფრაქციის სახელით,—ანგარიში გაუწიოს იმ მიჯნებს, რომელიც ოდესღაც დიპლომატიის მიერ არის შეთითხნილი? ამგვარად სოც.-დემოკრატიის ფრაქცია არ არის წინააღმდეგი გერმანეთმა საზღვრები გააფართოვოს და დაპყრობილი ადგილები შეიერთოს. შეიდემანი წინააღმდეგია იმისი, რომ გერმანეთმა წინდაწინ განთავისუფლოს დაპყრობილი ბელგეთი და ნაწილი საფრანგეთისა. ამ ადგილების დატოვების შესახებ საკითხის აძვრა შეიძლება მხოლოდ ზავის ჩამოგდების შემდეგო, განაცხადა ორატორმა.

რამ გამოიწვია ბეტმან-გოლვეგის სიტყვა?

გერმანული გაზეთების ცნობით, ბეტმან-გოლვეგის სიტყვა, გერმანეთის ომის მიზანის შესახებ, გამოიწვია ასკვიტის განცხადებამ: ომის მიზანი ინგლისისათვის გერმანეთის სამხედრო ძალის შემუსვრა არისო.

ვილჰელმის დეპეშა

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: კაიზერმა დეპეშა გაუგზავნა კანცლერს იმ „გაბედულ“ სიტყვის გამო, რომელმაც, ვილჰელმის აზრით, ნათლად ჰყო წარსული და მომავალი გერმანეთისა. ამ დეპეშამ უფრო აღაფრთოვანა შოვინისტები და ომის მიზეზების და ზავის პირობების განხილვას შეუდგნენ.

პარტიების აზრი

კოპენჰაგენიდან მოსული ცნობით: ნაციონალ-ლიბერალი შტრეზემანი შეერთებულ შტატების მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდა მის ფულის მოყვარეობის გამო და თანაგრძნობას უცხადებს კანცლერს იმის გამო, რომ მას საზღვრების გაფართოვებით სურს გერმანეთი უზრუნველ ჰყოს.

კონსერვატორი ვესტარპი მომხრეა საზღვრების გაფართოვებისა და აცხადებს შეერთებული შტატების მთავრობა უბრალოდ ისჯება. გერმანეთი მაინც განაგრძობს წყალქვეშა ნავებით ბრძოლას და ნეიტრალ გემებს არ დაზოგავს. დასასრულ ორატორი მოითხოვს: ბელგეთი და ბალტიის მხარე შეუერთდეს გერმანეთს.

გააზე, სოც.-დემ., „უმცირესობის“ მეთაური, ამბობს: ტყუილად ირჯებით სხვის გულისათვის. პოლონელებს, ლიტველებს და ლატიშებს არას დროს არ გამოუთქვამთ სურვილი გერმანეთის ქვეშევრდომობისა, ვგონებ არც ეხლა მოინდომებენ. ბელგეთში ბოროტ-მოქმედება მოხდა და აუცილებელია მისი აღდგენა.

გააზის სიტყვა ავ ზ-ზაურს იწვევს. ფონ-იაგოვი აცხადებს: ბელგეთი თვითონვეა დამნაშავე და ღირსეული სასჯელიც უნდა მოიხადოს. გააზის სიტყვის მაგვარი რამ ფრანგ სოც.-დემ. რომ ეთქვა, ამხანაგები ჩაჰქოლავდნენ.

შეიდემანი აცხადებს: დროა შემთხვევით ვისარგებლოთ და ზავი ჩამოვაგდოთ.

ყველა დანარჩენი პარტიები კანცლერის გეგმას მიემხრნენ. დიდი უმრავლესობით, 18 სოც.-დემ. წინააღმდეგ, რეიხსტაგი წყალქვეშა ომის განგრძობას ემხრობა.

ლიბკნეხტის სიტყვა

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ლიბკნეხტმა კანცლერის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა. მოწინააღმდეგენი მას ხელს უშლიდნენ. თავმჯდომარემ წინადადება მისცა ლიბკნეხტი კრებიდან დაეთხოვათ. ლიბკნეხტი ამას არ დაემორჩილა. საშინელი ხმაურობა ასტყდა, ისე რომ თავმჯდომარე იძულებული გახდა კრება შეეწყვიტა.

გერმანეთი და ამერიკა

„Kelnishe Zeitung"-ს ვაშინგტონიდან დეპეშით ატყობინებენ: ამერიკის პრესა კანცლერის სიტყვის იმ ადგილს აქცევს ყურადღებას, რომელიც ეხება წყალ-ქვეშა გემების მოქმედებას. ამ ორ სახელმწიფოების განწყობილება მალე გართულდება, რადგანაც გერმანეთი ხელს არ იღებს სამგზავრო გემების წინააღმდეგ მოქმედებაზე, ეს კი ამერიკაში დიდს აღშფოთებას იწვევს. გაზეთის აზრით „სუსეკსის" დაღუპვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელებზე; ეს შემთხვევა ახალ მასალას აძლევს ამერიკას გერმანეთის წინააღმდეგ.

ოსმალეთის გემის დაღუპვა

სევასტოპოლიდან იტყობინებიან: ბოსფორის შესავალში რუსეთის წყალქვეშამ იერიში მიიტანა ოსმალეთის გემზე. გემი მალე ჩაიძირა. ნაღმოსანი „მილეტი", რომელიც მას ახლდა გაიქცა.

გერმანეთის შტაბის განმარტება

„ვოლფის სააგენტომ" გამოაქვეყნა პირველი ნაწილი გერმანეთის შტაბის განცხადებისა მარტში ვერდენთან მომხდარ ბრძოლების თაობაზე: 8 მარტს დაწყებული ბრძოლა ვერდენთან, რომელებსაც, გერმანელების აზრით, ზოგ ადგილებში შეტევითი ხასიათი და ზოგანაც მოგერიებითი ჰქონდა, ერთად რომ ავიღოთ შემდეგი სურათი გადაგვეშლება: იმის მაგიერ, რომ გაზაფხულზე მოკავშირეთა სახელმწიფოების შეტევა მომხდარიყო, მოხდა გერმანელთა შეტევა. რუსეთის შეტევა ვილნითან უნდა გაისინჯოს როგორც მოგერიებითი მოქმედება, მხოლოდ უფრო დიდ ფარგლებში.

8 თებერვალს დაწყებული ბრძოლა ჯერ მაასის აღმოსავლეთის მხრივ, შემდეგ დასავლეთის მხრივ სამ საფეხურად განიყოფება: 1) წინ წაწევა კონსანვუა—აზანიტის ხაზიდან შან-ნევილ-დუომონის ხაზით; 2) შეტევა ეტენიდან ლოტარინგის მაღლობებისაგან და 3) 6 მარტიდან დაწყებული მოქმედება ფორჟ-რენევილის ხაზით. ჩვენმა გამარჯვებამ დუომონთან გამოიწვია მტრის კონტრ-იერიშები. 8 მარტს გერმანელებმა შესძლეს სოფ. ვოს აღება და სიმაგრე ვოსკენ ბრძოლის ხაზი გაარღვიეს. ჩვენი შეტევა ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით მარტის პირველ რიცხვებში შეჩერდა. მტერმა აქ თავისი საფრთხე დაინახა და მაასის ორთავ ნაპირებზე ამოქმედდა. აქ ფრანგთა 28 ნახევარი დივიზია იღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა შემდეგ კიდევ მიუმატეს 4 დივიზია, ისე რომ ფრანგთა 16 კორპუსი იღებდა მონაწილეობას. მაასიდან აღმოსავლეთით ციხის საალყო ბრძოლაა, მდინარის დასავლეთით კი 6 მარტიდან დაწყებული შეტევას განვაგრძობთ. ამ ადგილას თუმცა ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ წინ ვიწევთ.

ბრძოლის ველზე

ფრიად საინტერესო ამბები მოგვიტანა მთავარი შტაბის მოხსენებამ. კავკასიის ასპარეზზე აზრუმის მერიდიანის დასავლეთით ოსმალთა ექვსი დღის იერიშები მოგერიებულ იქმნა და ახლა კიდევაც ვდევნითო. მართალია, შტაბმა დღესაც იძუნწა ცნობების დაწვრილებით მოწოდებაში, არ ვიცით სახელდობრ რა მხარით მოჰქონდათ იერიშები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ წინანდელ დეპეშათა ყრუდ მოღწეულ ამბებს, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ეს იერიშები მოდის ერზინჯანიდან. აქ, ამ მიმართულებით აგერ ეს ორ თვეზე მეტია შეჩერებული იყო რუსთა წინსვლა. აქ, ამ მიმართულებით, როდესაც აღებულ იქმნა მამახათუნ-კოტური, ჩვენ შიში გამოვთქვით, თუ კავკასიის ჯართ მეთოდიურად არ მოუხდათ ყოველივე ნაბიჯის გადადგმა, შესაძლებელია ამ ელვის სისწრაფემ რამე ვნება მოუტანოსო. ამ შიშს გამოვთქვამდით სწორედ იმიტომ, რომ აზრუმიდან წასული რეზერვები, როგორც ვიცით, სამი გზით გაიშალა, ბითლისის მიმართულებით ერთმა მესოპოტამიის ჯარს მიაშურა, მეორემ ტრაპიზონისკენ დაიჭირა გეზი, ხოლო მესამემ და უმთავრესმა ძალებმა ერზინჯანის გზას მიჰმართეს და რუსებიც ფეხდაფეხ სწორედ იმიტომ დაედევნენ, რომ ეს ძალები აეძულებინათ და ნაადრევად ბრძოლაში ჩაეთრიათ, ვიდრე ანგორასივადან წამოსულ ჯარებს შეუერთდებოდნენ ნაშთნი აზრუმის ჯარებისა. მაგრამ ოსმალთა მთავარშტაბმა ყოველისფერი გასწირა ცოცხალი ძალების შესანახად. ვიცით, თითქმის უბრძოლველად დაუთმო მამახათუნი, ვიცით, ასეთივე ბედი ეწვია კოტურს, მაგრამ აქვე ერთი კვირის უმალ იბრუნეს პირი და მას აქეთ შეჩერებულ იქმნა რუს ჯართა წინმსვლელობა. რაც მოხდა ერზინჯანის მიმართულებით, თითქმის ანალოგიური ამბავი დატრიალდა შავი ზღვის ნაპირებზეც. უკანასკნელი დისტანცია, სადამდინაც რუსთა ჯარებმა მიაღწიეს, გახლდათ ქალ. ოკი. ამის იქით წინსვლა არა თუ ელვის სისწრაფით, მძიმე ნაბიჯითაც ვეღარ განვითარდა. ამასობაში ყრუდ მოდიოდა ამბები ტრაპიზონის გარნიზონის გაძლიერებაზე, რასაც ოსმალთა გათამამებაც ამართლებდა. გვესმოდა, რომ ჯერ კიდევ ამ უკანასკნელ დღეებში როგორ გამუდმებული იერიშები მოჰქონდათ ოსმალთ, რათა რუსის ჯარები არზინჯანისკენ გადაერეკათ.

თითქმის ასეთივე ამბავი დატრიალდა ბითლისის მიმართულებით. წინსვლის შეჩერების შემდეგ ოსმალთ დაიწყეს შემოტევა. ჩანს, მათი მთავარი ბაზა ბაღდადი მართლა ძლიერ ყოფილა გამაგრებული, ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ იმ დროს, როდესაც სპარსეთში მონავარდე ბარათოვის ჯარები ისპაჰანს ეწვივნენ, ოსმალთ არამც თუ არ შეუჩერებიათ აქეთ მხარეს მოქმედება, პირიქით, გააცხოველეს, კუტ-ელ-მარის მახლობლად ინგლისელებს ალყა შემოარტყეს და კრიტიკულს მდგომარეობაში ჩაჰყარეს, მაშინ, როდესაც მეორე ფრთით რუსთა წინააღმდეგ გამოილაშქრეს მოსულ-ბითლისის მიმართულებით.

ჩვენ არ ვიცით ჯართა ძალების სრული განწყობილება. არც ის ვიცით, სახელდობრ რა ადგილას ხდება ბრძოლა. უკანასკნელ ხანებში მხოლოდ ასე აღნიშნავს ზოგად ფრაზით მთავარი შტაბი: „ბითლისის მიმართულებით", ანუ „ტრაპიზონის მხრით", ან და კიდევ „აზრუმის მერიდიანის დასავლეთით". ყველა ეს ბუნდოვანი ცნობები ხელს უშლის მიმომხილველს სწორი და დაახლოვებითი ცნობები მაინც მიაწოდოს მკითხველს. ერთი კი რამ არის უეჭველი, რომ ოსმალთ მოსვლიათ არა მარტო მაშველი ჯარები (რეგულიარ ჯარებზე მოგახსენებთ,) არამედ საუკეთესო იარაღიც, რაიც წინა დღის დეპეშაში ამოვიკითხეთ: ოსმალნი ცრემლის მომგვრელ სითხეს უშვებდნენ განსაკუთრებული იარაღითაო. ეს სწორედ იმის მომასწავებელია, რომ აქეთ, ამ მიმართულებით, გერმანელთა გამოცდილი ხელი უნდა ერიოს.

რომელ მიმართულებას მიეცემა უპირატესობა? თქმა არ უნდა, ამ სამში თავთავის მხრით ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ ცენტრი სიმძიმისა რომ ისევ ერზინჯანს ჰკიდია, ეს აშკარაა. ამ ერთი თვის წინად ერთმა რუსმა სამხედრო მიმომხილველთაგანმა ერზინჯანი აღიარა მეორე ვერდენად, აქედან დიდს ამბებს უნდა მოველოდეთო. სწორედ თითქოს მის განჭვრეტილობის საილუსტრაციოდ ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტმა გვაცნობა, აქ ასიათას ოსმალთ მოუყრიათ თავიო. შემდეგ რა ხდებოდა, ეს არ ვიცოდით. მხოლოდ დღევანდელ ოფიციალ მოხსენებამ აჰხადა საიდუმლოს ფარდა. ახლა გავიგეთ, რომ აგერ ექვსი დღეა ოსმალთ იერიშები მოჰქონდათო! საბედნიეროდ, იერიშები მოგერებულია, თუმცა ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა. რა ხდება ამავე დროს ბითლისისა და ტრაპიზონის რაიონებში, ამას ახლო მომავალში გავიგებთ, რადგანაც ერზინჯანზე არა ნაკლებ ამ რაიონებსაც აქვთ მნიშვნელობა და თვალსაჩინო ძალებსაც მოუყარა აქ მტერმა თავი.

რაც შეეხება ვერდენს, აქ მდგომარეობა სერიოზულია. თვითეული დღე ამძიმებს ატმოსფერას. კრიზისი მწვავდება. მთავარი მაღლობები ნელ-ნელა გერმანელთა ხელში გადადის. ბრძოლის ახალი ობიექტი ახლა „304" მაღლობია, ამის აღება და მორტჰომის ბედის გარდაწყვეტაც ერთი იქნება. თვით მორტჰომისა და კუმიერის სექტორი საარტილერიო ცეცხლის ალში გახვეული. უნდა ვიფიქროთ, რომ პარიზისა და ვერდენის შემაერთებელი რკინის გზის მოძრაობა ძრიელ უნდა იყოს შეფერხებული, თუ სრულიად არ გადასჭრეს ჯერ კიდევ. აღმოსავლეთით ჯერ-ჯერობით საარტილერიო სროლაა. საზოგადოდ პარიზიდან ძლიერ ცოტა ამბები მოვიდა, მაგრამ რაც მოვიდა, მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკულ მდგომარეობის დადასტურებაა.

X.

თბილისი, 3 აპრილი.

გურიის მეურნეთა კრება დღეს ოზურგეთში საგულისხმიერო კრება ბაა. მთელი გურიის მეურნენი სამეურნეო ორგანიზაციას ჰკრავენ რომ მწყობრი და მეთოდიური ხასიათი მისცეს სოფლის მეურნეობის წარმოებას. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში თან და თან ფეხს იკიდებს საღი შეხედულება მეურნეობის მნიშვნელობაზე. ყველა დარწმუნდა რომ ცარიელ სიტყვებით და მზამზარეულ ფორმულებით ქვეყნის რეალი სახე არ შეიცვლება, რომ პირიქით ოცნება და ილიუზიები ქვეყნის ენერგიას ადუნებს. ყველამ დაინახა რომ შეიძლება ათასჯერ ნამდვილი სოციალისტი, ათასჯერ დარწმუნებული ინტერნაციონალისტი იყო და მთელი არსება საუკეთესო საკაცობრიო იდეალებით იყო შეპყრობილი და ამავე დროს იყო უმწეო თან და თან ჰქრებოდე, სუსტდებოდე, სხვა გჯობნიდეს და გამარცხებდეს. ქართველი ხალხი თან და თან რწმუნდება, რომ დღევანდელი საშინელი ქიშპობისა და ჭიდილის ხანაში, ის იმარჯვებს და მომავალიც მას მოელის, ვინც შეიარაღებულია ათასჯერ ნაცად და საიმედო იარაღით, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალით, საღ რაციონალ სოფლის მეურნეობით, ბანკებით, კრედიტით და სხვა. ქვეყანამ დაინახა, რომ კულტურულ ერთეულად ის არის ძლიერი, ვისაც შეუქმნია მტკიცე ეკონომიური ორგანიზაცია და საქმიანობა და სათანადო სპეციალ ტეხნიკური ცოდნით არის აღჭურვილი. ქართველობა რწმუნდება რომ თუ სურს ფონს გავიდეს და თავისი საყვარელი სამშობლო უცხოთა მადისაგან დაიცვას, ყველა ეს უნდა განავითაროს და შემოიღოს. დღემდე მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, და არც არვინ ეუბნებოდა რომ ეკონომიური საქმიანობა, ქონებრივი შეძენა, ნივთიერი დოვლათის შექმნა და დაგროვება, სიმდიდრის შოვნა თავი და თავი საქმე იყო ერის ცხოვრებაში. და უამისოდ აღორძინება შეუძლებელია. არვის უთქვამს რომ აღდგომის საწინდარი თითეული ქართველის გარჯაში, შრომაში, მის შემოქმედ ენერგიაში იმყოფებოდა. ეს აზრი, ეს იდეა ხალხში ფართედ არავის გაუტანია და არც არავინ ცდილა ქართული სოფლისა და ქალაქის კოლექტიური ენერგია ამ სფეროში გონივრულად აემუშავებინა. და ხალხიც და ინტელიგენციაც, ორივენი ერთად ოცნებაში ერთობოდენ და პრესა და ცხოვრება იმის კამათს უნდებოდა, თუ ვინ იყო ჭეშმარიტი დემოკრატი და უმწიკვლო სოციალისტი თუ ინტერნაციონალისტი. უკანასკნელი 15 წელიწადი, საუკეთესო წლები ჩვენი გამოფხიზლებისა ამან წაიღო. ფრაზეოლოგიამ მოჰქანცა ქვეყანა. დღეს ხალხი მწარედ განცდილი პირველი იღვიძებს. და თვისი საღი ალღოს მეოხებით ეკონომიურ საქმიანობას, მეურნეობას იწყებს, იმისთვის ეწყობა და იზრდება. გასული და მიმდინარე წლები განსაკუთრებით მდიდარია სანუგეშო მოვლენებით, ეკონომიური ორგანიზაციების შექმნის მაგალითებით, ჩვენთვის განსაკუთრებითი სასიამოვნოა, რომ გურია, რომელიც მოძრაობის წლებში მთელ საქართველოს სათავეში მოექცა, დღეს სერიოზულად ებმის ეკონომიურ საქმიანობაში. ვუსურვებთ ოზურგეთში დღევანდელს კრებაზე შეკრებილ გურულ მეურნეთ მტკიცე საშვილიშვილო საქმისთვის საძირკველი ჩაეყაროთ და ჩვეულებრივის გამჭრიახობით, ხალისით და სიფხიზლით შესდგომოდენ საქართველოს ნივთიერ შემოქმედებას და ამ საქმეშიც დანარჩენ მოძმეთ მაგალითად გადაქცეოდენ.

დეპეშები

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" ირწმუნება: ძალიან მალე გერმანელები დაიწყებენ შეტევას ფლანდრიაში და აქედან შეეცდებიან ინგლისის კუნძულზეც ჯარების გადაყვანასო.

—

დანია გაფაციცებით შეუდგა სამხედრო სამზადისს. დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისის ფლოტი შეეცდება ბალტიის ზღვაში შეიჭრას. დანიის მთავრობას გადაუწყვეტია წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლისის განზრახვას და მტკიცედ დაიცვას ნეიტრალობა.

—

მოსკოვის გაზეთებს ატყობინებენ: იტალიელებმა საგრძნობლად განაცხოველეს მოქმედება ავსტრიელების წინააღმდეგო.

—

ბითლისის რაიონში ოსმალებმა დიდ-ძალ ჯარს მოუყარეს თავი. ამ გაზაფხულზე აქ გადამწყვეტ ბრძოლას მოელიან.

—

საერთო მდგომარეობის მცოდნე პირები ირწმუნებიან: ნაალდგომევს სახელმწიფო სათათბირო მოქმედებას აღარ განაახლებსო.

—

ინგლისის სავაჭრო ფლოტმა მარტის განმავლობაში დაჰკარგა ოცდაათი გემი ლამანშში, სადაც გერმანელების წყალქვეშა ნავებმა ჩააწყეს ნაღმები.

—

„რუსკი ვედომოსტში" მოთავსებულია მოწოდება მოკავშირების მიერ, სადაც სთხოვენ აღარ აბრძოლონ სერბელები, რადგან იღუპება არა მარტო სახელმწიფო, არამედ თვითონ სერბეთის ერის არსებობაც განსაცდელშიაო.

—

მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ყველა გამოქცეულებს რომელიც თურქესტანში იყვნენ დასახლებულები იმპერიის შიდა გუბერნიებში ასახლებენ.

—

ცნობილი ინგლისელი მწერალი კონონ დოილი ჩამოვა რუსეთში და აქედან კავკასიაში გაემგზავრება.

გ. ვ.

(პეტროგ. დეპეშათა სააგენ.)

ვერდენის ასპარეზზე „304" სიმაღლეს და მორტჰომ-კიუმერის მიდამოებს მტერი ზარბაზნებს უშენს.

—

იტალიის ასპარეზზე ბრძოლა გაცხოველდა. ლედროს მიდამოებში გერმანელებმა მოულოდნელად შეუტიეს და თხრილები ჩაიგდეს ხელში. საღამოთი იტალიელებმა მტერი უკუ აგდეს.

—

კავკასიის ასპარეზზე აზრუმის დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. ექვსი დღეა ოსმალებს იერიშები მოაქვთ, მაგრამ ყველგან მოიგერიეს.

—

გევგელ-დოირანის ხაზით მძიმე საველე ზარბაზნების სროლაა.

—

გერმანელებმა დაღუპეს ორი ბარკა, ინგლისისა, „ინვერლეონი" და რუსეთისა „იმპერატორი".

—

ჩინეთში ცზიანის და ჩჟე-ცზიანის მიდამოებში დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ბორჯომიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი** ე. გ. ვეიდენბაუმი სამსახურს თავს ანებებს. მის ადგილას პოლტავის საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარე ბ. ლიზოგუბი ინიშნება.

◆ **აგრონომთა კრება.** 1 აპრილს თბ. გუ'ერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება საგუბერნიო სარაიონო აგრონომებისა, რომელზედაც განხილულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა 1916 წლისა. კრებამ დაადგინა უმთავრესი ყურადღება მიექცეს სოფლის დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებს. დასასრულ საერობო აგრონომმა ბ-ნ გაბისოვმა ამ საკითხზე შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა.

◆ **გრილი მატარებლის მოსვლა.** 1 აპრილს სადგურ კოზლოვიდან თბილისში გრილი მატარებელი მოვიდა 8 ვაგონ ნაყინვ ხორცით, წონით 6500 ფუთი. მატარებელს დახვდნენ მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწე გენ. ლ. იანუშკევიჩი, გენ. კარპოვი ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი და სხვა საპატიო პირნი. დათვალიერების შემდეგ ხორცი მშვენივრად შენახული აღმოჩნდა. ეს ხორცი გადაეცემა ჯარების საჭიროებისათვის.

◆ **საკულტურო-საგანმანათლებლო კავშირში** დღემდე ჩაწერილა სულ 26 ქართული საკულტურო დაწესებულება. ამ რიცხვში 16 დაწესებულებას წარმოუდგენია საზოგადო კრებების ოქმები კავშირში ჩაწერაზე დანარჩენებიც მალე წარმოადგენენ.

◆ **სახალხო კითხვების** მომწყობი სექცია ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა აპირებს სახალხო კითხვების მოწყობას პროვინციაში სოფლის მასწავლებელთა დახმარებით.

◆ **საერობო თათბირი.** მთავრობამ დააკმაყოფილა ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ქალაქის თვითმართველობამ თავის მგრივ 5 წარმომადგენელი გაგზავნოს საგანგებო თათბირზე, რომელიც 26 აპრილს დაიწყება მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით საერობო რეფორმების შესახებ ამიერ კავკასიაში. ქალაქის მხრივ 2 კაცი უკვე არჩეულია (ა. ი. ხატისოვი და თავ. გ. მ. თუმანვი), 3 კაცსაც ხვალ, 4 აპრილს, აირჩევს საბჭო.

◆ **დიდი კონცერტი.** აღდგომის ორშაბათს, 11 აპრილს, დილით „ახალ კლუბის" თეატრში ლოტბარი მიხეილ კავსაძე მართავს 4 განყოფილებიან დიდ კონცერტს.

◆ **სიონის გალავნის გაფართოება.** საქართველოს ეგზარხოსმა მაღალყოვლად უსამღვდელოესმა პლატონმა საგანგებო კომიტეტს ნება დართო ფულები შეაგროვოს საეგზარხოსო სიონის ტაძრის გალავნის გასაფართოებლად და გასამშვენიერებლად. ფულების შესაგროვებელი წიგნი უკვე დაამტკიცა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ და თითონ 500 მანეთზე მოაწერა ხელი. ყოველი შეწირულება მსურველს შეუძლიან გამოგზავნოს თბილისში კომიტეტის ხაზინადრის ა. მ. ძეგველიშვილის სახელობაზე.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქი** თვისი ხარჯით კავკასიის სხვა და სხვა ალაგას აარსებს 8 სანატორიუმს დაავადმყოფებულ ჯარისკაცთათვის. თითოში განზრახულია 24 ჯარის კაცის მოთავსება. შესანახავად 30 ათასი მანეთია გადადებული.

◆ **პანაშვიდი.** ხვალ საბჭოს დარბაზში გადახდილ იქნება პანაშვიდი ქალაქის მოურავად ნამყოფ ნ. ვ. არღუთინსკი დოლგორუკოვის სულის მოსახსენებლად.

◆ **იჯარით მამულის აღება.** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ იჯარით აიღო ახლად ბათომის ოლქში 36 სოფელი და ართვინისაში 52 სოფელი.

◆ **შაბიამანის ძებნა.** თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი კორვინ-პაველოვსკი და მდივანი ვ. ი. რცხილაძე ბაქოს მიემგზავრებიან შაბიამანის საქმის გამო.

◆ **მსახიობის ჩამოსვლა.** ქართველმა მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა ბაქოში დაამთავრა სეზონი და თბილისს ჩამოვიდა, საცა მონაწილეობას მიიღებს ქართულ წარმოდგენებში. ბ-ნ ზარდალიშვილის სიტყვით, ბაქოში ქართულ წარმოდგენებს ყოველივე მოლოდინისათვის გადაუჭარბებია.

◆ **კომისიის კრება.** ქალაქის საბჭოს მიერ არჩეული საგანგებო კომისია, რომელმაც დირექტივები უნდა მისცეს ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებს საერობო თათბირში, პირველად შეიკრიბება სათათბიროდ სამშაბათს, 5 აპრილს.

◆ **ხელოსანთა კლუბის** წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება 5 აპრილსაა დანიშნული.

◆ **ხარებობის ბაზარი** უკვე გაიმართა სახაზინო თეატრში. ბაზარი 4 აპრილამდე გაგრძელდება. შემოსავალი უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ გადიდება.

◆ **მკვლელობა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ: სოფ. აკურში, თბილ. მაზრა, ჩხუბის დროს ლ. გოგიშვილს ხანჯლით მოუკლავს პ. ლაგიშვილი და დამალულა.

— ს. ართანში, თელავის მაზრა, ვენახების სადაო საკითხის გამო ჩხუბი მოსვლიათ მ. ამირეჯიბსა და მის შვილს გიორგის ხ. ცველებაშვილთან. ჩხუბის დროს ცველებაშვილს კეტით მოუკლავს გიორგი ამირეჯიბი.

◆ **დამატებითი საქალაქო არჩევნები.** დღეს, 3 აპრილს, მოხდება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა და მათ კანდიდატთა დამატებითი არჩევნები.

პირველ საარჩევნო უბანში ასარჩევია 4 ხმოსანი და 2 კანდიდატი. ქართველების ჯგუფის კანდიდატები არიან [illegible]ძე, გ. ლ. მაჭავარიანი, [illegible]ლიძე და გ. ე. ცინცაძე. დანარჩენ ორ კანდიდატის შესახებ ჯგუფის ხელმძღვანელნი არჩევნების დროს აცნობებენ ამომრჩეველთ.

მეექვსე საარჩევნო უბანში ასარჩევია 3 ხმოსანი და 4 კანდიდატი. ჯგუფის კანდიდატები არიან ექ. მ. ნ. მელიქიშვილი, ს. ს. ვირსალაძე, ი. ი. ზურაბიშვილი და პ. კ. მიმინაშვილი.

პირველ საარჩევნო უბნის არჩევნები მოხდება შრომის ბირჟაში (ვერის დაღმართი), ხოლო მეექვსე უბნისა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე და დამთავრდება ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე.

◆ **დამფუძნებელი კრება.** დღეს 3 აპრილს, საღამოს 8 საათზე, თავადაზნაურთა საკრებულოში დანიშნულია ქართულ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა კავშირის დამფუძნებელთა კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს დაწვრილებითი გეგმა კავშირის წევრთა კრებისა, რომელიც 12 აპრილს მოხდება.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ვ. აბაშიძისა და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით ქ. გორში 11 აპრილს გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ეხლანდელი სიყვარული", დიაჩენკოს კომედია, თარგმანი ვ. აბაშიძისა.

◆ **ბ-ნ გ. ხ. მოსეშვილმა** ნახევარი წლით გაუწერა გაზეთი „საქართველო" გუბის სამკითხველოს.

◆ **მასწავლებელთა კრება.** დღეს, 3 აპრილს, შუადღის 12 საათზე, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში დანიშნულია თბილისის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კრება, რომელსაც იწვევს აღნიშნულ საზოგადოების ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი სექცია. კრებამ უნდა შეიმუშაოს გეგმა სახალხო კითხვების მოწყობისა თბილისის სხვა და სხვა უბანსა და პროვინციებში.

◆ **ჟურნალ „მოსავლის"** გასაუმჯობესებლად გუშინ ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში კრება მოხდა ვ. ი. რცხილაძის თავმჯდომარეობით, კრებას დაესწრნენ ქართველი აგრონომები და მეურნენი. კრებამ დაადგინა მოწვეულ იქმნას საგანგებო კრება საერობო აგრონომებისა ამ საკითხის განსახილველად.

◆ **შემოიტანეს** თბილისში 1 აპრილს: ფქვილი 1 ვაგ., ხორბალი 6 ვ. ქერი 4 ვაგ., კარტოფილი 4 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., შეშა 30 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 6 ვაგ., კვერცხი 88 ფუთი; კარაქი 28 ფუთი, ყველი 18 ფუთი.

ახალი ბანკი

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს

რომ თანახმად ბანკის დამფუძნებელთა და აქციონერთა დადგენილებისა, ყველა აქციონერი, (ვისაც შემოტანილი აქვს პირველი გადასახადი აქციის—10 პროცენტი—ე. ი. თითო აქციაზე 25 მანეთი)

ვალდებულია,

შემოიტანოს მეორე ხვედრი გადასახადი—აქციის 40 პროცენტი, ე. ი. თითო აქციაზე 100 (ასი) მანეთი ამა მიმდინარე წლის 10—20 მაისამდის.

ხელის მოწერა და ფულის შემოტანა მოწყობილი იქნება იმავე წესით და იმავ ადგილებში, როგორც პირველი ხვედრი ფულის შემოტანის დროს იყო. ოც მაისის შემდეგ ფულების მიღება შესწყდება. დაწვრილებითი ცნობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა სარაჯიშვილის სახლი, № 6. საურთიერთო სამეურნეო ბანკის სადგომში.

პოლიტიკა და საქმე

ყოველს დროსა და ყოველს ხალხში პოლიტიკით სცხოვრობდა ან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ერთი პირი. აბსოლუტური მონარქია და ყოვლად დემოკრატიული რესპუბლიკა ამ აზრს ერთნაირად ასურათებს. ქვეყნის თუ ხალხის ქონებრივ მდგომარეობას ამ დებულებაში თვისი ტემპერამენტი ვერ შეაქვს და ამ მხრივ პოლიტიკაზე თავის სპეციფიურ ზედმოქმედებას ვერ იჩენს. კერძოდ ინტერეროვნულ პოლიტიკას კიდევ უფრო ნაკლები ხალხი შეექცევა და ემსახურება.

საცა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ყველას ეკუთვნის, იქ ამ უფლების ფაქტიური გამოყენება ხდება მხოლოდ დრო გამოშვებით, სამ ან ოთხ წელიწადში ერთხელ; ან ცოტა ადრე, ან ცოტა გვიან,—ეს მაშინ, როდესაც საკანონმდებლო დაწესებულებას ვადა გაუდის და ქვეყნის ძირითადი კონსტიტუციის ძალით მისი ახალი შემადგენლობა უნდა აირჩეს. დანარჩენ დროში პოლიტიკური უფლება ამ მილიონი ხალხისა სწორედ რომ შეიძლება, ათასში ერთხელ იშვიათი და არა-ნორმალური მოვლენა იყოს და დაწესებულ ვადას ან აქედ გადმოსცდეს, ან იქით გადასცდეს პოლიტიკურ მოედანზე კენჭით გამოსვლა. დანარჩენ დროში ეს მრავალი მილიონი ხალხი, ეს მრავალი მილიონი კენჭი-უფლება არ საქმობს, დამარხულია ვით უხმარი ტალანტი. ამგვარად, დროგამოშვებით საარჩევნო ყუთთან მისვლა და თავის რწმუნებულის, თუ ვექილის რამოდენიმე წლით არჩევა,—აი ხალხის პოლიტიკური უფლების მთელი პრაქტიკა! უფლება—ნამდვილი **საქმეა** სწორედ და მხოლოდ იმისთვის, ვინცა ამორჩეულია, ვინც დეპუტატია. ერთობ მცირეა ამათი რიცხვი; ქვეყნის მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით, იგი ერთ მეასათასედს თუ შეადგენს; ზოგან პროპორცია უფრო ნაკლებია, ზოგან უფრო დიდი, სხვა და სხვა გარემოების მიხედვით. საცა ორმოცი მილიონი მცხოვრებია, იქ კანონმდებელია ხუთასიოდე კაცი; ამდენივეა, ერთგვარის მეტ-ნაკლებობით, იქაც. სადაც მცხოვრებთა რიცხვი 80 ან 160 მილიონია. ვიცით ქვეყნები, საცა რამდენიმე ასი მილიონი მცხოვრები ამასაც მოკლებულია. ეს დაშორებული პროპორცია მცხოვრებთა და კანონმდებელთ შორის შეუცვლელ ნორმად უნდა ჩაითვალოს. ერთის მხრით მუდამ ასი მილიონი მცხოვრები იქნება და მეორეს მხრით მუდამ ექვსასიოდე დეპუტატი! ავია თუ არა, ეს ასეა. ამ უკიდურესს ციფრების დაახლოვებას ორი რამ ეწინააღმდეგება: ერთი ფიზიკური შეუძლებლობა რომ კანონმდებელთა რიცხვი მცხოვრებთა ან თუნდ ამომრჩეველთა რიცხვს ჰფარავდეს; მეორე თვით ცხოვრების სიბრძნე და გამოცდილება, რომ მრავალ რიცხოვან ბრბოში შეუძლებელია საქმის განსჯა თუ სჯულდება, თუ აზროვნება. ჩვენს ხორცშესხმულ ცხოვრებას ეს ორი თვისება ვერ ჩამოეცლება და აღნიშნული პროპორციაც დაურღვეველი დარჩება. ამ შემთხვევაში იგი აუცდენელიც არის და საჭიროც. ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც აუცილებელი სასარგებლოც გამოდის!..

ამ გვარად პოლიტიკით სცხოვრობს, პოლიტიკას აკეთებს მხოლოდ მიკროსკოპიული გუნდი მიკროსკოპიულ კრებულში, თუ შეიძლება ასე ითქვას. პოლიტიკური უფლება **საქმეა** მხოლოდ მუჭა ხალხისთვის, რომელიც განუწყვეტლივ ამაზედ მუშაობს. დანარჩენი, მრავალ მილიონი მცხოვრებისთვის-კი, იგი მხოლოდ **უფლებაა**. ეს ძირითადი გარჩევა თან ჰყვება სოციალ-მოქალაქობრივ ცხოვრების შინაარს, მის აზრს. იგი ხასიათია ყოველი ქვეყნისა თუ ერის, სადაც კულტურულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება თავისუფლად მიმდინარეობს. ვისთვის პოლიტიკური უფლება მხოლოდ **უფლებაა**, ოთხ წელიწადში ერთხელ გამოსაყენებელი, იგი **საქმეს** სხვაგან ეძიებს. მისი ენერგია, ძალა და ღონე ეკონომიურ საქმიანობაში იხარჯება და ათასი ხერხით ცდილობს ბუნების დამორჩილებას, მისი ძალისა და სიმდიდრის გამოყენებას პირადი კეთილდღეობის მოსაპოვებლად. მთელი ერი, დიდიან პატარიანა, კანონმდებელია, ჯარისა, მოხელეთა და ზოგი სხვათა გამოკლებით, ნივთიერ შემოქმედებაშია ჩაბმული. ერის საძირკველი ეს არის. სადაც ეკონომიური შემოქმედება ძლიერად სცემს, პოლიტიკური ცხოვრებაც იქ არის აზრიანი, ძლიერი და მოგვარებული. შემძენი, დოვლათის შემქნელი და პატრონი დაცვასა, დარაჯობას და კეთილ-განწყობილებას, ურთიერთობის დამყარებას ქვეყნის პოლიტიკისაგან მოითხოვს. პოლიტიკით, პოლიტიკური უფლების საქმეზე განალდებით მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცი სცხოვრობს, ეკონომიკით, ეკონომიურ საქმიანობით, ნივთიერ შემოქმედებით-კი მთელი მილიონები, მთელი ერი, ამ რამდენიმე ასიოდე კაცის გამოკლებით. უამისოდ ქვეყანა ველარ იარსებებს. პირშებრუნებული სინამდვილე ერის დაავადებული ყოფაა.

ს. კედია.

კიდევ შაბიამანის თაობაზე

როგორც ყველამ იცის შარშან, წლის დამლევს ყველა საკრედიტო ამხანაგობებმა, მიიღეს მოწერილობა მევენეობის და მევენახეობის კომიტეტიდგან, რომლის ძალითაც ყველა ამხანაგობებს და კერძო მემამულეებსაც ევალებოდათ წინა დღითვე ეცნობებინათ კომიტეტისათვის, ვის რამდენი შაბიამანი დასჭირდებოდა მომავალს 1916 წლისთვის. კომიტეტი ყველას წინადადებას აძლევდა მალე შეეკვეთნათ შაბიამანი და გოგირდი მისთვის, რადგანაც ცნობილ ფრიდონოვის ფირმის შაბიამანს და გოგირდს იგი ანაწილებს შემკვეთელთა შორის და ბაზარში არავის ნება არა აქვს გაყიდოს აღნიშნული ვენახის წამალი. ყველა ეს ბევრი სხვა დაპირებაც რამდენჯერმე დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. გულუბრყვილო კახელებმაც დავიჯერეთ ყველა ეს და დიდ მადლობას უგზავნიდით ვ. რცხილაძეს და შაქრო პაატაშვილს რომლებიც ამ კომიტეტში მსახურებენ და რომლებსაც ვაწერდით ამდენს ზრუნვას ჩვენდამი, მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდით. დადგა მარტი და დროც მოვიდა შაბიამნის მოტანისა. დაიძრა მთელი კახეთი თბილისისაკენ, მთელი დღეობით კომიტეტის დარბაზი სავსე იყო ხალხით რომელნიც ელოდნენ ვენახის წამალს. პირველ ხანებში როგორც კომიტეტის უფროსი ეგრეთვე ბატ. რცხილაძე გვარწმუნებდნენ, ნუ გეშინიანთ აი მოუვა ფრიდონოვს შაბიამანი და ყველას გაგინაწილებთო, მაგრამ სულ სხვას გალობდა ფრიდონოვის ფირმა. თითქმის ორი კვირის განმამავლობაში საქმე არ ირკვეოდა და ამოტელა ხალხი თბილისში ისხდნენ და ხარჯს ეწეოდნენ. კომიტეტი თავისას გაიძახოდა: წადით შინ, ჩვენ გავანაწილებთ, შეგატყობინებთ და მერე მოდით ურმებით და წაიღეთო. მაგრამ როდესაც ხალხისგან გამწარებულმა ფრიდონოვის ფირმამ გადაჭრით განუცხადა: მე ჩემს კლიენტებს უნდა მივცე საქონელი და თქვენ შემკვეთლებს ერთ გირვანქასაც არ მივცემთო. მაშინ ეს ღირს შესანიშნავი დაწესებულება და მასთან ერთათ ჩვენი მზრუნველები რცხილაძე და სხვები ჩაჩუმდნენ.

ეხლა ადვილი წარმოსადგენია რა დღეშია კახეთი, რომელსაც მარტო ვენახებიდგან ღა უდგა გატანჯული სულით. ყველა მიენდო კომიტეტის დაპირებას და არავინ ზრუნავდა, თავის დროზედ და ხელსაყრელ ფასებში ეშოვნათ ვენახის წამალი. და გულუბრყვილოდ ელოდა დანაპირებს. რომელმა ამხანაგობებმაც კი გაიგეს ეს საზარელი ამბავი ყველამ გადასწყვიტა დაუყონებლივ გაგზავნონ ყველა ქალაქებში სადაც კი შაბიამანი მოიპოვება თავის წარმომადგენლები და რაც უნდა დაჯდეს უეჭველად შეიძინოს იგი. ამოძრავდა მთელი კახეთი და სად გინდა რომ არა ნახო შაბიამანის მაძებარი. ასტყდა მთელი აურზაური რითაც მშვენივრათ ისარგებლეს ჩარჩებმა და შაბიამანი 50 მან. ასწიეს. უბედურობა კიდევ ის არის, რომ ბევრმა საკრედიტო ამხანაგობამ ჯერ არ იცის ეს საზარელი ამბავი და ელიან კომიტეტისაგან შაბიამანს. არც კომიტეტმა, არც რცხილაძემ და პაატაშვილმა მოვალეობათ არ მიიჩნიეს გაზეთებში მაინც გამოეცხადებინათ თავისი უძლურობა რომ ამ საქმეში, ყველამ იცოდეს რაშია საქმე და შეეცადოს გამონახოს სხვა წყარო და რითიმე გადაარჩინოს ვენახების დაღუპვისაგან.

შაბიამანი ჯერ კიდევ მოიძებნება რამდენიმე 1000 ფუთი და საჭიროა ვიდრე მესამე და მეოთხე ხელში არ გადავა საქონელი ეხლავე შევიძინოთ. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თბილისში **ინჟინერ შტრანგს** რომელიც სცხოვრობს გრიბოედოვის ქუჩაზე (სახლი № 4 ბინა № 5). და რომელიც არის წარმომადგენელი რუსეთში შაბიამანით მოვაჭრეებისა და თითონაც აკეთებს შაბიამანს თბილისში.

ვანო ყიფიანი.

სოფლად

II ნაწილი.

(სართიჭალა ერთი თვალის გადავლებით).

პატარძეულიდან სართიჭალისკენ გამოვსწიე, რომელიც ექვსი ვერსითაა დაშორებული. მომეტებული ნაწილი სახნავი მიწები მოუხნავთ.

ქინქლავდა. მდ. იორი მოდიდებული ყო და განიერ კალაპოტში გაფანტულიყო.

გერმანელების ახალშენის მარიენფელდის შუა ქუჩაზედ ჩავიარე. სასიამოვნოა მათი რიგზედ შენობების მოწყობილობა. ყველას თავის ეზოში სამეურნეო იარაღები რიგზედ უწყვია.

ორ სართულიანი სახლები გარშემორტყმული აივნებით და კრამიტით ან თუნუქით გადახურული კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

მარიენფელდის თავში ავსტრო-გერმანელების ახალშენი პეტერსდორფია გაშენებული, მარიენფელდის ქვეით კი—სართიჭალა, სადაც ქართველები ცხოვრობენ და მის ქვეით იგივე გერმანელების ახალშენი ფრეიდენტალი.

ყველა ამ ახალშენებს და სოფ. სართიჭალას შუაზედ ერთი ფართე გზატკეცილი ჩაუდის.

პეტერსდორფში ითვლება 27 კომლი მოახალშენე და 711 დესეტინა მამული უჭირავს, მარიენფელდში 46 კომლი მოახალშენე ცხოვრობს და უჭირავს 1341 დეს. სართიჭალაში კი 148 კომლი ქართველი ითვლება, ხოლო დანამდვილებით ვერ გავიგე მათი მამულის რაოდენობა.

ფრეიდენტალშიაც—15 კომლი მოახალშენე მოსახლეობს და მათი მამული უდრის 396 დესეტინას.

მარიენფელდსა და ფრეიდენტალის შუა სოფ. სართიჭალა მომწყვდეულა.

სართიჭალას თვალ და თვალ ეტყობა, რომ აქ გერმანელები არა ცხოვრობენ, თუმცა სართიჭალელებს ეტყობათ, რომ ბევრი რამ გადმოუღიათ გერმანელებისაგან გარეგნულათ, შენობებიც მიუმსგავსებიათ და მათ კარმიდამოზედ მოახალშენეთა სამეურნეო იარაღებიც მოსჩანს.

ამასთანავე ეტყობათ, რომ მათი შენობები და კარმიდამოები უწესრიგოდაა მოწყობილი. მოახალშენენი ვერ შევნიშნე მათ კარმიდამოებზედ უსაქმოდ გაჩერებულნი, სართიჭალელები კი რამდენიმე ადგილას ქალი და კაცი ჯგუფობრივ იდგნენ რომელიმე სახლის წინ და მასლაათობდნენ.

ამ ზემო აღნიშნულ ახალშენებს მთავრობის განკარგულებით სახელები შეუცვალეს: პეტერსდორფს „პეტროვკა“ დაარქვეს, მარიენფელდს—„მარიინსკოე“ და ფრეიდენტალს კი—„ვესელოე“.

ამ გავლის დროს სხვათა შორის აქაურებმა გადმომცეს, რომ მაზრის ადმინისტრაციამ ყოველ მოახალშენე გერმანელს ხელწერილი ჩამოართვა, რომ ათი თვის განმავლობაში მიჰყიდ-მოჰყიდოს ყოველივე უძრავი და მოძრავი ქონება და შეემზადოს ასაყრელად.

რამდენიმე მოახალშენეს ჩამოუგდე საუბარი ამ არსებულ საკითხზე, მათ მოკლეთ მიპასუხეს:—ჩვენ ძალიან ცოტას ვფიქრობთ მაგაზედაო, თანაც უგულოდ იძლეოდნენ პასუხს:

— ჩვენ რუსის იმპერატორის ქვეშევრდომნი ვართ, ყოველივე გადასახადს ვიხდით, ჩვენი შვილები ომის ველზედ იბრძვიან და ჩვენ აქაურებს არაფერი დანაშაული მიგვიძღვის რუსებთან, მაინც ჩვენ არ დავიჯერებთ, რომ აგვყარონო.

მოახალშენების დასახლება.

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სამაგალითოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვის საზღვარ გარეთიდან გამოიწერა ავსტრო-გერმანიიდან მოახალშენები დასასახლებლად.

პირველი ჯგუფი მოახალშენებისა 1817 წელსა, სადაც ეხლა მარიენფელდია დასახლდა—46 კომლი.

ამას მოჰყა სხვა ჯგუფები და ვიურტემბერგის სამეფოდან გამოვიდნენ 1400 კომლი მოახალშენები, მხოლოთ თბილისში მოახწია 1818 წელსა ღვინობისთვეში 455 კომლმა, დანარჩენი ზოგი გზაში დაიხოცა და ზოგიც ყირიმში და სხვა ადგილებში რჩებოდნენ.

ეს 455 კომლი მოახალშენე შემდეგ ადგილებში დასახლდნენ: თბილისის ახლოს კუკიაში—40 კომლი, ალექსანდერსდორფში—მუშტაიდის თავში ახალშენი რომ არის გაშენებული, მდაბიურად „ნემენცების კალონას“ რომ ეძახიან, ის ადგილია—22 კომლი დასახლდა, განჯაში, ბორბალოსთან ახლოს—კოჯორ-ბელიკლიუჩს გზატკეცილზედ,—65 კომლი დასახლდა. პეტერსდორფში—17 კომლი, ეკატერინეფელდში—ანუ რატნიი—116 კომლი. ანენფელდში—67 კომლი და ელენდორფში 124 კომლი. უკანასკნელი ორი ახალშენი მდებარეობს განჯის გუბერნიაში.

ეკატერინეფელდი მდებარეობს ბორჩალოს მაზრაში სოფ. რატევანთან ახლოს მდ. მაშავერზედ,—პეტერსდორფი, მარიენფელდი და ფრეიდენტალი მდ. იორზედ მდებარეობენ.

მესამე ჯგუფი მოვიდა 1848 წელსა და დასახლდა სართიჭალის გვერდზედ და ახლად დასახლებულ ახალშენს დაარქვეს—ფრეიდენტალი.

ამრიგად ორ ახალშენს შუა მოემწყვდა სოფ. სართიჭალა, ჩამოერთვა რაც საუკეთესო მამული იყო და მას შემდეგ გასაქანი აღარ ჰქონიათ სართიჭალელებს განვითარებისა.

მეოთხე ჯგუფი 1857 წელს დასახლდა გომარეთთან ახლოს და სახელად უწოდეს ალ. ივ. ბარიათინსკის სახელი „ალექსანდერს გოლფი“.

აქავე ჰოჭიანთ მიდამოებში გომარეთსა და ალექსანდერსდორფის შუა „ედიშერაანთ უბანი“ მდებარეობდა სახაზინო მამულებზედ, სადაც მოსახლეობდა 14 კომლი ქართველი, ამ ახალშენის დასახლების შემდეგ ედიშერაანთ უბნელებს ჩამოართვეს მამული, ესენი გომარეთთან ახლოს გადაიყვანეს და მათი მამული ალექსანდერსგოლფის მოახალშენეებს მისცეს. „ედიშერაანთ უბანში“ ძველი ხელოვნების ეკლესია იყო, სადაც წირვა-ლოცვა იდგა, დააქციეს ალექსანდერსგოლფის მოახალშენეებმა და მისი ქვა და ჩუქურთმებიანი არშიები მოახმარეს თავიანთ ახლად აშენებულ ეკლესიას.

მთავრობა რომ ასახლებდა მოახალშენეებს, თან ფულით დახმარებას უწევდა. პირველ დასახლებისთანავე 1823 წლამდის მთავრობამ დაუხარჯავს მათთვის 1,065,642 მან. ამასთანავე სესხით ხელს უმართავდა, გადასახადებიდან შეღავათი ეძლეოდათ.

ეკლესიების მოსაწყობათ მიეცათ 27,839 მან. და მთავრობამ დაუნიშნა თითო პასტორს ჯამაგირი—1000 მან. თბილისისას კი—1,500 მან. ჰქონდა წლიური ჯამაგირი.

შემდეგ, როდესაც კუკიის ახალშენი თბილისს შეუერთდა 1892 წელსა, ხოლო 1861 წ. მათი მამული მათ საკუთრებათ გადავიდა, მთავრობამ უფეშქაშა!

ბ-ნი ნიკიფოროვი თავის გამოკვლევაში ავსტრო-გერმანელების ახალშენების შესახებ გაკვრით ამბობს: „მთავრობას რომ ამისთანა მზრუნველობა გაეწია ადგილობრივ მცხოვრებლებისათვისაო, ისინიც კულტურულ გზას დაადგებოდნენო“. გარდა ამისა ამბობს: „პირველად, როდესაც ავსტრო-გერმანელების მოახალშენენი დასახლდნენ, პირველ ათეულ წელში იმნაირ მეურნეობას ეწეოდნენ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნიო, მხოლოთ შემდეგ, როდესაც ფულით დაეხმარნენ და სხვა და სხვა ღონისძიებანი აღმოუჩინეს, მაშინ მხოლოდ დაადგნენ წარმატების გზაზედაო“.

ჩვენს ხალხს ვინ აღირსებდა ამისთანა უპირატესობას? პირიქით ისეთი პირობები იყო შექმნილი, რომ შეუძლებელი იყო წარმატების გზაზედ დამდგარიყო.

ავსტრო-გერმანელების მოახალშენეების ბედნიერება ქართველ ხალხის უბედურობით შექმნა მაშინდელმა მთავრობამ.

განა იმ თავითვე რუსის მთავრობას რომ ქართველ ხალხისთვის ასეთი მზრუნველობა აღმოეჩინა, ეხლა სულ სხვა სურათს არ ვნახავდით?

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ მაშინდელ მთავრობას მამის სული გაეშვა და პაპის სულსა ლოცულობდა.

თავად-აზნაურთა მამულების გადასვლა მოახალშენეებზე.

შემდეგ თანდათან წელში რომ გაიმართნენ ახალშენელები და მიჰყვეს ხელი კერძო მამულების შეძენას.

1850 წელსა თ-დ ყაფლან ორბელიანმა გასტეხა ჩხირი და მოახალშენე ამხანაგობას ეკატერინეფელდისას მიჰყიდა მამული სახელდობრ „შეიტაგოში“ 733 დეს.—4,600 მანეთად, ამაში 26 დესეტინა ვენახი იყო.

ამავე ახალშენებმა 1872 წელს შეიძინეს ვახტანგ ორბელიანისაგან 1230 დეს.—1353 მანეთად!

1881 წელს ამავე—ეკატერინეფელდის ამხანაგობამ—შეიძინა თ-დ ივ. დ. ორბელიანისაგან „ქვემო ყიშლალაში“ 456 დეს.—15,000 მანეთად, ამაში იყო 31 დეს. ვენახი.

1883 წელს იმავ ამხანაგობამ იყიდა კნ. ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან მამული, სახელდობრ „გეიდაკლუ“ 364 დეს.—23,000 მანეთად.

1886 წელს ამათვე შეიძინეს სოლომონ ონიკოვისაგან მამული სახელდობრ „შორი“—617 დეს. 5.500 მ.

1903 წელს თავად გიორგი ორბელ-ორბელიანისაგან იყიდეს იმავ ახალშენელებმა მამული სახელდობრ „შიბილიარი“. 15,000 მანეთად 60 დეს. ვენახი იყო და ამდენივე სავენახე ადგილი,—რომელიც ეხლა საუკეთესო ვენახია.

1911 წელს კნეინა ნინო ელიზბარის ასული ქობულაშვილისას მიუყიდნია ეკატერინეფელდის ამხანაგობისთვის ტყე სახელდობრ „პოლუდაში“ 610 დეს., რომელსაც მართებს ბანკის ვალი 12,500 მან. და კიდევ მისცეს 30,000 მან.

1914 წელს კნეინა მაკარი ივანეს ასული ორბელიანისაგან იყიდეს ამავე ახალშენელებმა მამული 948 დეს.—110,500 მან., ამაშია 5 დეს. ვენახი.

მარიენფელდის ახალშენელებმა შეიძინეს თ-დ ნიკ. ჩოლოყაშვილისაგან მამული სახელდობრ „ჭალა“—161 დეს. 600 კ. ს.

ალექსანდერსგოლფის მოახალშენეებმა 1873 წელს შეიძინეს კნეინა ელენე ერისთავისაგან 564 დეს.—1200 კ. ს. იგივე მოახალშენეებმა 1876 წ. შეიძინეს მელიკ-ბახტამიანცისაგან 2,403 დეს.—98,500 მანეთად.

უნდა შევნიშნოთ „კავკაზსკოე სლოვოს“, როდესაც მოახალშენეების შესახებ წერილი დაბეჭდა, მხოლოდ მარტო ბახტამიანცის და ყორღანოვის იყო აღნიშნული.

მთელი ჯამი მოახალშენეებისაგან შეძენილი მამულისა შეადგენს—6,407 დეს. ამაში ვენახი იქნება 182 დეს. ეხლა რასაკვირველია ამ რიცხვს სჭარბობს ვენახები.

და თუ თვალს გადავავლებთ თანდათანობით მამულის შეძენას პირველში მამულის ფასი ძალიან ნაკლები იყო ესე იგი, დესეტინა იყიდეს 1 მ.—6 მ. შემდეგში მამულის ფასი მაღლა მიდის და ბოლო ხანებში მამულის ფასმა დესეტინა 50—100 მან. მიაღწია.

ავსტრო-გერმანელების მოახალშენენი ისე ენერგიულად მუშაობენ, შეიგნეს მამულის ფასი, უფასდებათ ნამუშევარი და მამულის შეძენისათვის დიდ ფულს იმეტებენ.

მათი მწყობრად და ერთი გეგმით მუშაობა გვაჩვენებს, რომ მამულზედ ამაგის დადება კაცს ერთი ორად აუნაზღაურებს შრომას.

მართალია, მათ არაფერი ჰქონდათ, როდესაც დასახლდნენ, მართალია მთავრობაც დაეხმარა მათ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, მათმა ენერგიულმა ორგანიზაციამ შექმნა ესეთი ლამაზი და შემოსავლიანი ახალშენები.

(შემდეგი იქნება).

Legatus.

თამარის დღეობა

ჩვენში წერა და ლაპარაკი ბევრი გვიყვარს და დიდებულათაც ვიწყებთ დაუსრულებელის განგაშით, მაგრამ სამწუხაროთ კი ვათავებთ ხოლმე, როგორც ეს მოგვივიდა საქალაქო არჩევნების დროს, ჩვენ ჩვენის უმოქმედობით ბევრსა ვთხოულობთ და ვინც ბევრს აკეთებს და საქმიანობს ცოტა გვინდა მივსცეთ და ჩვენს უმოქმედთობას სხვას ვახვევთ თავზე. ამიტომ ჩემის შეხედულობით და აზრით რაკი აღიძრა ლაპარაკი ამ დიად ისტორიულს საგანზე უნდა შევეცადოთ ღირსეულადაც შევასრულოთ, რომ არ მიიღოს ისეთი ელფერი და შედეგები, როგორიც ჩვენებურმა საქალაქო არჩევნებმა და საზოგადოთ სხვებმაც. ამიტომ სასურველია, რომ მოთავეებმა და ინიციატორებმა სასურველათ მოაწყონ საქმე ტეხნიკურის მხრით და ფართო მნიშვნელობა მისცენ საქმეს: ახლავე უნდა აირჩეს ყველა დაბა-ქალაქებში საუბნო ბიუროები და კომიტეტები და საქმე ტეხნიკურად მკვიდრად მოეწყოს. უნდა გამოიცეს სადღესასწაულო, პატარა წიგნაკები ისტორიულის მოთხრობით თამარის ცხოვრებიდან და შიგ ჩართული უნდა იყოს თამარ მეფის შესაფერისი სურათი და თავისი მიმოხილვით უნდა დაურიგდეს კომიტეტიდან ბიუროებს და ეს შესანიშნავი სადღესასწაულო წიგნაკები, ანუ წიგნები დაურიგდეს ყოველი ქართველის ოჯახს, სავაჭროებს, სახელოსნოებს და დაბა-სოფლებს, რათა მიეცეს ეროვნული მასიური მნიშვნელობა. ამ წიგნის ფასის გადაწყვეტა უნდა დაევალოს ცალკე კომისიას ანუ თვით კომიტეტს და ამ წიგნაკებიდან შემოსული ფული მოხმარდეს თამარ მეფის სახელობაზე ქალთა სემინარიის აგების საქმეს; ამ დედა ბურჯს ჩვენის ეროვნობის გასაძლიერებლად, რომ გვიხსნას გადაგვარებისაგან და მოგვცეს ნამდვილი მამულიშვილები და ჭირისუფალნი ჩვენი გაპარტახებულის ქვეყნისთვის; ჩვენს ქვეყანას მანამ არ ეშველება, სანამ ნამდვილი ქართველი დედები არ გვეყოლება! ჩვენ გვეჭირვება ქართველი დედები ქართულათ აღზრდილნი და ქართულის ისტორიის მცოდნე და მისი ავისა და კარგისა და არა მარტო უცხო ენაზე მოტიტინე და მოაზროვნე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ხსნა, ჩვენი ნამდვილი დიდებისაგან შეიძლება და არა მამებისაგან. როდესაც კარგათ მომზადებული დედები გვეყოლება, მაშინ მამები დედებულნი გამოვლენ. ოჯახის ბურჯი და მომავალი ახალთაობის სულის ჩამდგმელი დედა არის და დედა აღუზრდის თავის ერს ეროვნულს გმირებს და ერის სულის ჩამდგმელს! მაშ გაუმარჯოს ქალთა სემინარიის ინიციატორებს და უსურვებთ ნაყოფიერს ენერგიით მოქმედებას და თამარის სახელის შესაფერ დედების აღზრდას!

ეს უნდა მოეწყოს ყველა დაბა-ქალაქებში ბრწყინვალედ და დიდებულად, მაგრამ შეიძლება ყველაზე ბრწყინვალეთა და ნამდვილის ეროვნულის სხივოსნობით შემოსილი მოეწყოს ეს ქ. ქუთაისში და მნიშვნელოვან სახესაც მიიღებს, თუ მომწყობნი და მოთავენი მეტს ენერგიას გამოიჩენენ და ტეხნიკურად დაირაზმებიან ნამდვილის საქმიანობით.

წიგნების გამყიდველებად უნდა აირჩნენ 3 პირი, ერთი მანდილოსანთაგანი და ორიც მამაკაცი, რომ მეტი გავლენა იქონიონ მასიურს საზოგადოებაზე და მეტი შემოსავალი შემოიტანონ დიდებულის თამარის სახელით და მისივე სახელით ჩაედგას დიდებულს საქმეს საძირკველი.

ი. გ—ლ—ანი.

მაჰმადიანთა საქმე

როგორც მოხსენებული მქონდა „საქართველოს“ ფურცლებზედ, არტაანში 27 თებერვალს დაიწყო საქმის გარჩევა იმ ოსმალ ქურთებისა, რომელნიც სისხლის სამართალში (108 მუხ., ძალით) იყვნენ მიცემულნი, სახელმწიფო ღალატისთვის“, აბრალებდნენ ვითომც როდესაც ოსმალთა ჯარი რუსეთის საზღვრებში შემოიჭრა ამათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ. საქმეს არჩევდა თურქესტნის 2 კორპუსის პოლკის გენერალი ბატ. მანსვეტაშვილი, იცავდნენ ბრალდებულთ ვექილები ბატ. მესხიშვილი, გედევანიშვილი და ტატიშვილი. ბრალდებულთა პირველი ჯგუფი შესდგებოდა 21 კაცისაგან, მეორე ჯგუფი 16 კაცისაგან, მესამე ჯგუფი 98 კაცისაგან. ამ გარჩევაში ზემო აღნიშნულ ვექილების გარდა იყვნენ კიდევ ბატ. ქარცივაძე და კაჩუხოვი. მეოთხე ჯგუფი შესდგებოდა 13 კაცისაგან, სულ ბრალდებულნი იყვნენ 148 კაცი.—გაამართლეს აქედან და ციხიდან გაანთავისუფლეს 121. დასაჯეს 26. ერთს მათგანს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, რომელსაც ქალების გაუპატიურება ბრალდებოდა; 9 კაცს მიუსაჯეს 20 წლის კატორღა, 7 კი ათი წლისა. დანარჩენებს ოთხ-ოთხი წლის კატორღა.

სომხები ბრალმდებელ მოწმეებად თითქმის რომ უმრავლესობა იყვნენ: ხოდჟაიანც, აზნაურიანც, მელკონიანც და სხვანი. აგრეთვე გამოირკვა, რომ თავდაპირველი გამოძიების გმირი ყოფილა ბატ. აზნაურიანცი, რომელიც სიტყვიერი თარჯიმანი იყო—ჟანდარმთა გამომძიებელისა რომელიც ეხლა მიცემულია სამართალში ათასგვარი ბოროტების ჩადენისთვის და ქრთამებისთვის; იგი თურმე თავის სურვილისამებრ აწერინებდა ჟანდარმთა გამომძიებელს, რადგან იმან ენა არ იცოდა; როგორც გამოირკვა, თურმე მუქარით ალაპარაკებდა მაჰმადიან მოწმეს ამა თუ იმ პირზედ. ეს თარჯიმანი ის პიროვნება გახლავთ, რომელიც ქრთამისთვის მთავრობამ სამართალში მისცა.

მაჰმადიანთა საქმე კეთილად დატრიალდა და ოფიციალოდ დამტკიცდა. მათი უდანაშაულობა „სახელმწიფო ღალატში“. თუ ვინმე დაისაჯა, ეს მათი ბრალია, რადგან „ფანატიზმით“ გაჟღენთილებმა ღმერთს მიანდევეს თავიანთი თავი და მოწმები თავის მხრით ვერ იყოლიეს, რომ მათი უდანაშაულობა დაემტკიცებინათ.

—

აქვე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა მაჰმადიანთა წერა კით. გამავრც. საზოგადოების თაობაზე. აქ რამდენიმე თვეა მას აქეთ, რაც ხმა გავრცელდა, რომ შკოლასა ხსნიანო, ამ ხმას დიდი აღფრთოვანებით მიეგება აქაური გლეხობა და მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ იმედი უცრუვდებათ და ისე დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გავა, რომ რამდენიმე ოსმალო არ მოვიდეს ჩემთან სხვა და სხვა სოფლებიდგან და არა მთხოვს ვეუშუამდგომლო შკოლის გასახსნელად მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე.

ხალხი სინათლეს ითხოვს, მიხვდა იგი, რომ უსწავლელობა დღეს აღარას არგებს. ითხოვენ, მაგრამ ვინ არის, რომ მათში შეიტანოს სინათლის ლამპარი?

სად არის მაჰმადიანთა განმანათლებელი საზოგადოება? სად არის მაჰმადიან ქალთა საზოგადოება? რატომ ხმას არ იღებენ, როცა მათი დაბეჩავებული მოძმენი სინათლეს თხოულობენ?

ვ. ს—შვილი.

ვაჭრობა და მრეწველობა

ბაქოს ნავთიანი ადგილები იჯარით გაიცემა მაისში. ეს მიწები იჯარით გაიცა 1913 და 1914 წწ., მაგრამ ვაჭრობა სენატმა არ დაამტკიცა. ეხლა ასეთი საიჯარო საქმეები სენატს გამოერთვა და სამთო მმართველობას გადაეცა.

—

მარილის წარმოება შარშან ერთი მესამედით შემცირდა. მარტო დონის რაიონში 7 მილიონი ფუთით ნაკლები ამოიღეს. იკლო წარმოებამ ასტრახანის გუბერნიაშიაც და ყირიმშიაც. მარილზე მოთხოვნილება კი დღითიდღე მატულობს. ხორცის შემცირების გამო თევზის მოთხოვნილება მატულობს და მარილის უქონლობის გამო თევზის მწარმოებელნიც საქმეს ვერ აფართოვებენ. მარილის ფასი 90 კ.—1 მან. ავიდა ფუთზედ. სადაც მარილის წარმოებებია—დონის რაიონში და ასტრახანის გუბერნიაში ფუთი მარილი 80 კაპეიკამდე ფასობს.

—

ა. ხოშტარიას, როგორც ბაქოს ბირჟაზე გაიგეს, სპარსეთის მინისტრის სეპეხდარის ნავთიანი ადგილები 99 წლით ჰქონია აღებული იჯარით. რკინის გზის კონცესიებიც ა. ხოშტარიასთვის სეპეხდარს გადაუცია. ყოფილი ბათომის ქალაქის თავი თ-დი ანდრონიკაშვილი ამ საქმეების გამგეთ მიუწვევიათ 18 ათასი მანეთის წლიურ ჯამაგირით.

—

ნავთის ფასი ბაქოში კიდევ მატულობს. 18 მარტს ფუთი გაწმენდილი ნავთი ფასობდა 54 კაპ.; 28 მარტს კი ფუთს 58 კაპ. აფასებდნენ.

—

თევზი. კასპიის ზღვის სანაპიროზე მებადურეობის საქმე კარგად მიდის. თევზის გადაზიდვის პირობები უმჯობესდება. მოთხოვნილება დიდია. საშუალოდ ბაქოს ბაზარზე კვირაში შემოაქვთ 40 ვაგონი.

—

კანაფი. კულაბინის ჩითეულობის ქარხანამ ამ ექვსი წლის წინად სპარსეთში ენზელის მიდამოებში კანაფის პლანტაციები გააშენა. ადგილობრივ მცხოვრებნი შეეთვისნენ მეურნეობის ამ დარგს და ამ ჟამად დიდძალი კანაფი მოჰყავთ და რუსეთში გააქვთ.

—

შაქრის წარმოება ფინანსთა მინისტრის გამოანგარიშებით წლიურად შემცირებულა 25 მილიონი ფუთით, დაახლოვებით $^{1}/_{5}$; თავი შაქარი ოდესაში ფუთი ღირს 8 მ. 10 კ.—8 მან. 30 კაპ. ფხვნილი—6 მან. 30 კაპ.—6 მან. 40 კ.

—

ლაზისტანში მდინარე ხოპაჩაისა და არხავეს შუა ადგილებში მდებარე სპილენძისა და სხვა მადნეულობის წარმოების ნებართვა აუღია ექიმ ა. ა. გადომსკის.

—

სადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები ფასობს—პეტროგრად-ტულისა—79 მან. 75 კაპ., იაროსლავისა 78 მან. 75 კაპ., თბილისის—77 მან., ქუთაისის მიხაილოვის—69 მან. 25 კ.

—

პეტროგრად-ტულის სადგილ-მამულო ბანკს შარშან ერთი მილიონი და 70 ათასი მანეთი წმინდა მოგება ჰქონია.

ეკონომიური ცხოვრება

კრება გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

კვირას, 27 მარტს მოხდა გორის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მორიგი წლიური კრება,

განსახილველი იყო შემდეგი საგნები:

1) საბჭოს და გამგეობის მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.

2) განხილვა და დამტკიცება 1915 წ. ანგარიშისა.

3) განხილვა და დამტკიცება 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

4) არჩევნები საბჭოს ორი წევრისა, ნაცვლათ ნ. ა. თუმანიშვილისა და ა. ი. მელიქიშვილისა, რომელთაც კენჭის ყრით ვადა გაუთავდათ.

5) არჩევანი გამგეობის ერთი წევრისა ნაცვლათ გ. დ. კვალიაშვილისა, რომელსაც ვადა გაუთავდა.

6) საკითხი გამგეობის თავმჯდომარის ნ. დ. გრიგოლაშვილის შესახებ, რომელიც სხვა თანამდებობაზე იქმნა არჩეული.

7) არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1916 წ. ანგარიშის შესამოწმებლად და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან დღიურს წესრიგს.

კრება გახსნა მოკლე სიტყვით ზ. ქიტიაშვილმა და წინადადება მისცა აერჩიათ კრების თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ერთხმათ აირჩიეს თავ. რ. ერისთავი, მის ამხანაგად ექიმი ნ. კლიმიაშვილი, მდივნათ ივ. ქარუმიძე.

საბჭოს თავმჯდომარე ზაქ. ქიტიაშვილი კითხულობს მოხსენებას საქმეთა მდგომარეობის შესახებ, საიდანაც სჩანს, რომ პირველ იანვრისთვის 1916 წ. ბანკს წმინდა მოგება დარჩენია 1.111 მან. 08 კაპ. ხარჯი ჰქონიათ—ჯამაგირები გამგეობის, ბინის ქირა, გათბობა, განათება, წასვლა-მოსვლა გამგეობის წევრებისა, კანცელარიის ხარჯი და სხვა. 10.130 მან. 89 კაპ.

2) ოპერაციისთვის ხარჯები, $^{0}/_{0}$-ბი შენახული ფულისა $^{0}/_{0}$-ბი ბანკის კორესპონდენტებს, $^{0}/_{0}$-ბი კომისიისა და სესხისა—6.662 მან. 75 კაპ.

3) სასამართლოს ხარჯები, ნოტარიუსი და სხვა... 354 მ. 23 კ.

4) ზარალი პროცენტიან ქაღალდებში—54 მან. შემოსავალი ჰქონია ბანკს—1) $^{0}/_{0}$ ოპერაციიდან 13.573 მან. 24 კ., 2) კომისიიდან $^{0}/_{0}$-ბი—816 მან. 18 კაპ., 3) განაღდება უიმედო ვექსილებისა—330 მან., პენი (ჯარიმა) ვექსილებისა (ვადა გასულების)—3.593 მ. 53 კაპ. ჯამი—18.312 95 კ.

ამის შემდეგ ბ. დ. მაჭავარიანი კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას საიდანაცა სჩანს, რომ ანგარიში სწორედ არის შედგენილი, კასა სრულია, მხოლოდ აკლია თამასუქი 100 მანეთისა.

ორატორების ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ეს 100 მან. დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს, რის შესახებაც ბ. გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა—თუ აღმოჩნდა, რომ ეს ფული დაკარგულია, მაშინ ამაში დამნაშავე გამგეობის წევრი გადაიხდისო. ამ შემთხვევამ და საზოგადოდ ბანკის მდგომარეობამ გამოიწვია ცხარე კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბ. მებურიშვილმა, მ. კობერიძემ, ნ. კლიმიაშვილმა, ზ. ქიტიაშვილმა, ჩუტკერაშვილმა და ქარუმიძემ. ბევრი ამათგანი ამტკიცებდა, რომ ბანკში ვერ არის საქმე კარგა მოწყობილი, რომ ბანკი გაიყინა და წინ ვერ მიდის, ყველა წევრს ერთნაირ პროცენტს არ აძლევინებენ იმ შემთხვევაში, თუ თამასუქის განაღდება დაუგვიანდა, ნაკლები საწევრო ფულით მეტი თანხა გააქვთ და სხვა. ამაზე პასუხები გასცეს გ. კვალიაშვილმა, გრიგორაშვილმა, კაპანაძემ და შ. გოგებაშვილმა, რომლებმაც ბევრათ თუ ცოტათ გააქარწყლეს წამოყენებული ბრალდებანი. 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და 1915 წლის ანგარიში კრებამ დაამტკიცა

მოგებული ფულიდან კრებამ 718 მან. 40 კაპ. ბანკის ასაშენებელ ფონდისთვის გადადო. ბ. ნიკ. შიუკაშვილის და დ. ონიაშვილის წინადადებით კრებამ ათ-ათი თუმანი გადასდო (და ეს შეიტანა მომავალ ხარჯთ-აღრიცხვაში) წერა-კითხვის საზოგადოებისთვის და სახალხო-უნივერსიტეტისთვის. ბ. ლ. გრიგორაშვილმა განაცხადა, რომ აღარ შეუძლიან ბანკში სამსახური, რადგან ეხლა ბევრი სამუშაო აქვს, როგორც ქალაქის თავს და ამიტომ ვერ მოიცლის ბანკისთვის. კრება მადლობას უხდის წინანდელი ღვაწლისთვის და სთხოვს ისევ დარჩეს. გრიგორაშვილი ამაზე ცივ უარს აცხადებს.

დიდი კამათი გამოიწვია ამ კითხვამ, მოიწვიონ თუ არა მესამე დირექტორათ ფასიანი თუ უფასო (საპატიო) კაცი. საბჭო აცხადებს, რომ ბევრნაირი გეგმა გვაქვს ამის შესახებ მიღებულიო—და თვით გამგეობაში და საბჭოში არ არსებობს ამის შესახებ ერთ-სულოვნებაო.

ბ. სვიმონ და დავ. მაჭავარიანები წინადადებას იძლევიან, ამოირჩიონ მესამე დირექტორათ ბუხგალტერი შ. გოგებაშვილი, რომელიც იმავე დროს ბუხგალტერიც იქნებაო, ჯამაგირი-კი ისევ ბუხგალტერისა (1.800 მან.) დარჩებაო. ამ წინადადებამ კრება ორათ გაჰყო, ბევრი იძახდა ეს შეუძლებელია, შაერთდეს და საქმისთვის მავნებელიაო, მეორე მხარე კი ამტკიცებდა სწორეთ საქმისთვის არის ეს საჭიროო. ამ წინადადებას (ე. ი. შეიძლება თუ არა შეერთდეს ბუხგალტერის და დირექტორის თანამდებობა) უყარეს კენჭი, და 74 ხმით წინააღმდეგ 65 გადასწყდა, რომ ეს შეუძლებელია. ამის მომხრეები თავს ანებებენ დარბაზს.

დასასრულ აირჩიეს—გ. დ. კვალიაშვილი ისევ გამგეობის წევრათ, გრიგორაშვილის მაგიერ აირჩიეს საპატიო დირექტორათ და თავმჯდომარეთ ზ. ქიტიაშვილი, ნ. ა. თუმანიშვილი კვლავ აირჩიეს საბჭოს წევრად, მხოლოდ ა. მელიქიშვილის მაგიერ—ქარუმიძე. ამით დასრულდა კრება.

გარეჯელი.

თეატრი

კ. ფოცხვერაშვილის სიტყვა-მუსიკობა.

დღეს, 3 აპრილს, ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი გამართავს **სახალხო სახლში** მეორე სიტყვა-მუსიკობას შემდეგ თემაზე: „რელიგია ქართველი ერისა და მისი ჰიმნ-საგალობელნი“.

სიტყვის შინაარსი: 1) საჭიროა თუ არა თანამედროვე ადამიანისათვის რელიგია? 2) ქართველი ერის თანამედროვე რელიგიური მდგომარეობა. 3) ქრისტიანია თუ არა არსებითად ქართველი ერი. 4) რას წარმოადგენს ქართველი ერი თავისი რელიგიური მისწრაფებით? 5) ქართველმა ერმა დღემდის ვერ შეითვისა სავსებით ქრისტიანობა. 6) საოცარი გულციობა ქართველებისა ქრისტიანულ დოგმატთადმი. 7) როგორ უნდა აიხსნას, რომ საქართველოში არ ყოფილა რელიგიური ხანები და თვალსაჩინო მწვალებლობანი. 8) რას ნიშნავს ის, რომ ქართველ ერს ქრისტიანულად არ განუსახიერებია თავის ხელოვნებაში ქრისტიანობა? 9) საეკლესიო გალობა როგორც უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი ქართველთა „ქრისტიანობისა“. 10) ქართველი ერის რელიგიური მრწამსი.

სამუსიკო განყოფილებაში მონაწილეობაში იღებენ ქ-ნი მ. შავერზაშვილის ასული (სოპრანო) ქ-ნი თ. შავერზაშვილის ასული (როიალზე დამკვრელი), ბ-ნი ლეჟავა (ბანი), ბ-ნი ზარდალიშვილი (შეასრულებს პირველ ქართულ მელოდეკლამაციას); შესრულებული იქნება მრავალი ქართული და ევროპიული სიმღერა—ჰიმნ-საგალობელნი, ქართული ცალფა სიმღერები, გურული კილოები, ალილო ძილის პირი, მზის და მთვარის ლოცვა-ღაღადნი და სხვანი...

დასასრულ გადმოცემული იქნება და გარჩეული კ. ფოცხვერაშვილის ახალი კოსმოგონიური სამუსიკო დრამა-ლეგენდა „მსოფლიო ვაება“.

ღია წერილი

(ჩვენებურ ნასწავლ და შეგნებულ ქალიშვილების საყურადღებოდ)

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია:
საქმე ის არის,—კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ილია.

მახლობელთ რომ ვუკითხავდი გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებულს, სა მაჰმადიანო საქართველოდან გამოგზავნილ, წერილს ქართველ მასწავლებელ ქალისას,—გრძნობა მორეულთ, თვალთაგან არ გვშორდებოდა მადლობა-სიამოვნების ცრემლი, იმდენად გამახალისებელი და საიმედო იყო მასწავლებელ ქალის-მიერ ბუნებრივად გადმოცემული, მეტად საყურადღებო შთაბეჭდილებანი, თვისი ახლად დაწყობილ მოღვაწეობისა აოხრებულ და გაპარტახებულ აჭარელთა შორის... მართლაც, შეგნებულ ახალგაზრდა მამულიშვილისათვის, იმაზე მეტი ზნეობრივად დამაკმაყოფილებელი საქმე რა უნდა იყოს, როცა თავისივე თვალით ჰხედავს, რომ მის-მიერ გაბნეული კეთილი თესლი ნოყიერ ნიადაგზე ეცემა, რომ მისი თანაგრძნობის სიტყვა დამამშვიდებელ მალამოდ ეცხება მოძმეთა დაჩაგრულ-დაავადებულ გულს, როცა ხედავს, რომ გზა-აბნეულ და დაშორებულ თანამოძმეთ ესმით გამამხნევებელი ხმა გზის მაჩვენებლისა და ნდობა-მადლობით მიილტვიან მისკენ...

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ საკმაოთ დიდი რიცხვი გვყავს ნასწავლ ახალგაზრდობისა და ამასთანავე, უმისოთაც ბევრი მუქთა-ხორანი ვართ ქალაქებში შეკრებილნი მაშინ, როდესაც ოვით ეროვნების შემადგენელი უმთავრესი და უმრავლესი ელემენტი, სტრაჟნიკების და მკითხავ-ჩარჩების ანაბარაა მიტოვებული. ქალაქურ ცხოვრებაში მოქცეულნი, თუნდა გაჭირვებულნი, თანამოძმენი, ავად თუ კარგად, თვითვე გაიკვლევენ ცხოვრების გზას. და ერთი ნაწილი მაინც ინტელიგენციისა, ვისაც მართლა გული შესტკივა საზოგადო-ეროვნულ საქმისადმი, უნდა გავიდეს სამოქმედოთ ეროვნების შემადგენლობისა იმ ნაწილში, რომელიც შეგნებულ ცხოვრებას მოკლებულია და გავიდეს ეხლა განსაკუთრებით, სამოღვაწეოთ ისეთ მადლიან ასპარეზზედ, როგორიც სამაჰმადიანო საქართველო წარმოადგენს.

ჩვენში ყოველწლობით ასობით ათავებენ ქალიშვილები საშუალო სასწავლებლებს; ბევრი მათგანი ქალაქებშივე რჩება და, დიდხანს, ამაოდ დადის სხვა და სხვა დაწესებულებაში 25—30 მანეთიან გადამწერის ადგილის საშოვნელად. დავიჯეროთ მათში არ უნდა მოიპოვებოდეს ხუთიოდე პროცენტი მაინც ისეთი, რომელთაც შეგნებულად გათვალისწინებული ჰქონდეთ თვისი მოვალეობა მშობლიურ მხარის წინაშე ამ განსაკუთრებულ ისტორიულ ხანაში!?

საზოგადოთ, სხვის შრომაზე აღზრდილი, ინტელიგენცია დიდად დავალებულია თვის ხელ-მოკლე, გაუნათლებელ, მშრომელ ხალხის წინაშე; ვალის პირნათლად გადახდა ხომ სავალდებულოა ყოველი პატიოსანი პიროვნებისათვის და, ასეთ ერთგვარად ვალის მოსახდელათ, ნუ თუ არ შეუძლიანთ ჩვენებურ ნასწავლ იდეურ ქალიშვილებს, ხანგრძლივად თუ არა, რამდენიმე წელიწადი მაინც შესწირონ მოძმეთა გათვითცნობიერებას!? და ეხლა, ხომ სამაჰმადიანო საქართველოში, არსებულ სარწმუნოებრივ პირობებისა გამო, დედა-კაცს ერთი ორად და სამად მეტის გაკეთება შეუძლიან, ვიდრე მამაკაცს, რაიც დაგვისაბუთა, სხვათა შორის, ბ. აპ. წულა—მაც აჭარიდან გამოგზავნილ და ჩვენ გაზეთში მოთავსებულ წერილებში.

რუსები იტყვიან ხოლმე რომ „ქოთნებს ღმერთები არ აკეთებენო“: დიდი უნარ-ნიჭის პატრონი და გენიოსი პირები ჯერ ერთი ძალიან იშვიათად თუ იბადებიან და არც ისინი ჰქმნიან ცხოვრებას, არამედ შეგნებულად მშრომელ, ჩვეულებრივ მუშაკთა ძარღვებითაა აშენებული მთელი დუნიის კეთილ-დღეობა. ვისაც საზოგადოთ საზოგადოებრივი მოვალეობა გათვალისწინებული აქვს, ვინც აღჭურვილია საჭირო ცოდნით და გულიც ერჩის,—ყველას შეუძლიან უქმად, უფერულად და პირუტყულად არ ჩაატაროს თვისი ამ ქვეყნად ყოფნა და საერთო საქმეში თვისი წვლილიც შეიტანოს.

ყველას თუ არა, ზოგიერთ ჩვენებურ ქალიშვილებს მაინც ხომ შეუძლიან, შეგნებასთან ერთად, გამოიჩინონ ხასიათის სიმტკიცე, ცოტა ხნით მაინც განშორდნენ ღრიანცელიან, პირდაღებულ ქალაქურ ცხოვრებას, გავიდნენ კეკლუცად მორთულ, მყუდრო ბუნების კალთებზე თუნდა უბრალო, უჩინარ, მაგრამ მადლმოსილ მუშაკის როლში, შეუდგნენ სულიერ-ზნეობრივად ამაღლებულ საქმეს,—მოძმეთა გაადამიანებას. მგონი ბევრს მათგანს ტყუილად აშინებს მარტოობა „უცხო“ მხარეში, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა: აჭარელნი მეტად ზრდილობიანნი და ქალთა პატივისმცემელ-მფარველნი არიან,—რის საბუთსაც ამოიკითხავთ თუნდა, ზემოთ მოყვანილ, მასწავლებელ ქალის წერილიდანაც.

სამკალი მეტად ფართოა, დრო საშური და ამასთანავე ხელ-საყრელიც და მუშაკნი კი მეტად მცირენი. პირად ცხოვრებაში შედარებით დამოუკიდებელ ყველა ჩვენებურ იდეიურ მანდილოსანთაგანთ, ვინც კი მგრძნობიერ გულს ატარებს, მშვენიერი შემთხვევა ეძლევათ პირადად და ადგილობრივ ნუგეში სცენ აწიოკებულ, გზა-აბნეულ და დაბეჩავებულ თანამოძმეთ. დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ „ცუდათ არ ჩაივლის მათი განწირული სულის კვეთება...“

გ. ახალციხელი.

—

დიდად პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „საქართველო“-ს საშუალებით „მოხევეთა“ მონდობილებით მივმართო ხევში ნამყოფ-ნამსახურ მასწავლებლებს, აწ უკვე ზოგ მათგან მღვდლებს შემდეგი თხოვნით: წაიკითხონ წარსული წლის 1—15 გიორგობისთვის № 21-22 გაზეთი „Вѣстникъ Грузин. Екзархата“ რომელშიდაც არის მოხსენებული წერილი შემდეგის სათაურით: Къ Религіозно-просвѣтительнымъ нуждамъ Хеви, Душетскаго уѣзда (изъ замѣтокъ сельскаго учителя), Георгія Кварацхелія. რადგანაც ეს წერილი აშენებული არის იმაზედ, რომ ასიამოვნოს ვოსტორგოვებს და ძმათა მისთა და სიმართლეს-კი მოკლებულია, რადგანაც შეეძლო ავტორს თავისივე მოძმე ქართველების ქართულ პრესის საშუალებით ემხილა ყოველი ნაკლი მოხევეებისა და არ ცდილიყო მაგისთანა ხრიკებით თბილ ადგილის შოვნას. ამიტომ წაკითხვისთანავე, გაზეთისვე საშუალებით მსჯავრი დასდონ იმ წერილის ავტორს და მის საქციელს მოხევეთადმი. მღვ. გიორგი ნათაძე, მღ. ნიკიფორე კანდელაკს, მღ. მაქსიმე მარკოზიშვილს, მღ. ილია მაჭავარიანს, მღ. რაჟდენ ჩიხლაძეს, მასწავლებელს გიორგი ჯიღაურს, ალექსანდრე სარალიძეს და ალექსანდრე ჩუტკერაშვილს.

მოხევეების მონდობილობით
მღ. ბართლომე ღუდუშაური.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

			№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ.	9	8.53	სალ.
„	საფ.	„	3	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„	4	10.20	სალ.
„	ჩქარი	„	6	12.8	დღის
„	სამგ.	„	8	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ.	4	9.30	სალ.
„	სამგ.	„	10	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„	3	9.3	დილ.
„	ჩქარი	„	5	7.41	სალ.
„	სამგ.	„	7	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „	23	„ „
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „	43	„ „
ვაზიანიდან	10 „	42	„ „
იორიდან	11 „	35	„ „
საგარეჯოდან	12 „	17	„ „
ბადიაურიდან	1 „	15	დღის
მელაანიდან	2 „	37	„ „
გურჯაანიდან	4 „	08	„ „
ვაჩნაძიანიდან	4 „	58	„ „
თელავში მიდის	5 „	35	„ „
გურჯაანიდან	4 „	18	„ „
კარდენახიდან	4 „	50	„ „
წნორის-წყალ. მიდის	5 „	15	„ „

თელავიდან

თელავიდან	8 ს.	58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „	45	„ „
გურჯაანიდან	10 „	46	„ „
მელაანიდან	12 „	02	„ „
ბადიაურიდან	1 „	13	„ დღის
საგარეჯოდან	2 „	15	„ „
იორიდან	2 „	53	„ „
ვაზიანიდან	3 „	40	„ „
ნავთლუღ-კახეთ.	4 „	31	„ „
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „	46	„ „
თბილისში მიდის	5 „	01	„ „
წნორის-წყლიდან	9 ს.	16 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „	46	„ „
გურჯაანში მოდის	10 „	16	„ „

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო წყალი** და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

ქუთაისში
გ. ლაღიძე
ქარხანა
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაფის შესახვევი № 4.